



№ 985

„14“ 08 2014წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის დანიშვნის თაობაზე


საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე და 61-ე მუხლების, „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს #219 დადგენილების მე-5 მუხლის და „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2009 წლის 29 დეკემბრის №903 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქ/პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემაზე, პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურედ განისაზღვროს სააგენტოს ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ირაკლი გელოვანი.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის დანიშვნის თაობაზე“ პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2014 წლის 11 თებერვლის #137 ბრძანება.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12-ე კ/მ №6).

გიორგი არსოშვილი

A handwritten signature in blue ink, appearing to be 'G. Arsoshvili', written in a cursive style.